

დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი
არასრულწლოვნის წარმომადგენლობისა და ინტერესების დაცვის კრილში

ქეთევან მარკოზაშვილი

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების

მოთხოვნების შესაბამისად



კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : დავით ქოჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ , რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარკოზაშვილი ქეთევანი

2023 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვნების უფლებების დაცვისა და ინტერესების განხილვა სამოქალაქო-სამართლებრივ დავებში, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები დღესდღეობით მეტად სენსიტიურ თემას წარმოადგენს, კვლევისას გამოიკვეთა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ცალკე მომწესრიგებელ ნორმებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს პროცესი არასრულწლოვნის მონაწილეობით, ვხვდებით გამონაკლისის სახით ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას საოჯახო-სამართლებრივ დავებთან მიმართებით, სხვა მომწესრიგებელი ნორმები სხვადასხვა ნორმატიულ აქტშია გაბნეული მათ შორის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსი; არასრულწლოვნის მონაწილეობით საქმის წარმართვისას ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ საქმეში მონაწილეობას სოციალური სამსახური იღებდეს და მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს ბავშვის ინტერესების წარმოჩინებასა და გათვალისწინებას, ამავდროულად დღესდღეობით სოციალური მუშაკების დეფიციტთან გვაქვს საქმე, რაც პირდაპირპროპორციულად მიუთითებს თითოეულისათვის საქმის სიმრავლეზე, შესაბამისად ეჭვქვეშ დგება მათი სრული ჩართულობის საკითხი, არა კომპეტენციის, არამედ საქმეთა ოდენობის გამო; ასევე პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული ბავშვის უფლებები, მათ შორის ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, არასრულწლოვნის უფლება - უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა სასამართლოს მიმდინარეობისას და უფლება იყოს მოსმენილი. ასევე განსახილველი საკითხია რამდენად მოწესრიგებულია კანონმდებლობით შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა თავად მიმართოს სასამართლოს და განაცხადოს დარღვეული უფლებების შესახებ, აქვს თუ არა შესაძლებლობა დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი და რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები ხომ არ არის სახეზე, რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნორმებს საქართველოს კანონმდებლობა და საჭიროა თუ არა შესაბამისი ნორმებით დამატებით მოწესრიგება.

კვლევის მიზანია გამოკვეთოს ყველა ის თავისებურება, რაც არასრულწლოვნის მონაწილეობით საქმის განხილვას უკავშირდება, ასევე დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც არასრულწლოვნის უფლებების სათანადო დაცვას უშლის ხელს. რა პრობლემატური საკითხებია კანონმდებლობაში და რა რეკომენდაციები შეგვიძლია შევიმუშაოთ იმისათვის, რომ კანონი იყოს უპრობლემო, და უზრუნველყოთ არასრულწლოვნების უფლებების დაცვა.

ნაშრომის კვლევისას გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, ისტორიული და სისტემური ანალიზის მეთოდები, ასევე განხილულია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დიდ როლს თამაშობს კანონშემოქმედებით პროცესში, განმარტავს ბუნდოვან დებულებებს და ადგენს პრაქტიკას.

ნაშრომში განხილული საკითხები და რეკომენდაციები საშუალებას მისცემს მკითხველს გაიაზროს თუ სად არის პრობლემა და რა გზები შეიძლება არსებობდეს მის აღმოსაფხვრელად.

საძიებო სიტყვები : არასრულწლოვნები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი, სოციალური მუშაკი. ინკვიზიციურობის პრინციპი.

Abstract

The subject of the research of the master's thesis is the discussion of the protection of the rights and interests of minors in civil-legal disputes, the issues related to minors are a very sensitive topic today, the research revealed that the Civil Procedure Code of Georgia does not contain separate regulatory norms on how to conduct the process with the participation of minors, we find it as an exception. The possibility of using the principle of inquisitiveness in relation to family-legal disputes, other regulatory norms are scattered in various normative acts, one of the most important documents is the Code of Children's Rights. When conducting a case with the participation of a minor, one of the necessary conditions is that the social service participates in the case and ensures the child's rights as much as possible. Showing and taking into account the interests, at the same time we are dealing with a shortage of social workers, which directly proportionally indicates the abundance of cases for each, therefore the issue of their full involvement is questioned, not because of competence, but because of the amount of cases; The process should also take into account the rights of the child recognized by international law, including the consideration of the best interests of the child, the right of the minor to directly participate in the proceedings of the court and the right to be heard. It is also a question to be discussed whether the possibility for a minor to apply to the court and report about the violated rights is regulated by the legislation, whether he has the possibility to file a lawsuit independently and whether there are any hindering circumstances, to what extent the legislation of Georgia meets the norms stipulated by international documents and whether it is necessary to additionally comply with the relevant norms. arrangement.

The purpose of the research is to outline all the features that are related to the consideration of the case with the participation of a minor, as well as the hindering circumstances that prevent the proper protection of the rights of the minor. What are the problematic issues in the legislation and what recommendations can we develop in order to make the law problem-free and ensure the protection of the rights of minors.

The method of comparative-legal analysis, methods of historical and systematic analysis were used in the research of the paper, as well as a number of scientific works and judicial practice were discussed, which play a major role in the law-making process, clarifying vague provisions and establishing practice.

The issues and recommendations discussed in the paper will allow the reader to understand where the problem is and what ways there may be to eliminate it.

Search words: juvenile, juvenile's best interest, child's right to be heard, social worker. The principle of inquisitiveness.